პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 პარასკევი 4 აპრილი № 79 (16205) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის მოწინავენი



1977 წლის ანგარიშში

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კარლო ორაგველიძე. იგი საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მღარავია. ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დამთავრა და ქარხანაში მოვიდა სამუშაოდ. ეს იყო დაბადების შრომის წლები.

მერვე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შეხრულებისათვის კარლო ორაგველიძე დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. როცა მეცხრე ხუთწლედი დაიწყო, იგი ერთ-ერთი პირველი დადგა მისი ვადამდე შესრულების შრომითს ვახტზე. ოსტატი დაუღალავად შრომობდა, და შედეგმაც იჩინა თავი. მან დიდი ხანია შეასრულა თავისი პირადი ხუთწლედი და ახლა 1977 წლის მარტის ანგარიშში შრომობს.

კარლო ორაგველიძე კარგი აღმზრდელიც არის. ოცზე მეტი კვალიფიციური მღარავი თავის ოსტატობას მას უნდა უმადლოდეს.

სურათზე: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მოწინავე მღარავი კარლო ორაგველიძე.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხური ხელოვნების მაღლი

ვინ შექმნა და პირველად ვინ დააგუგუნა მზის, ხიცოცხლისა და სიკეთის შუადარეული ჰიმნი „ლელო“, ვინ არის ზეგარდმო პოეტური ნიჭით მადლცხებული ავტორი მარად უკვნობი ვეფხის და მოყმის ბალადისა, პირველად ვინ მოჯადოდა ქართველი კაცის გრძნობა და გონება ხიკვარულის, რაინდობისა და კდეგამოსილების უშვენიერესი ქორეოგრაფიული პოემით — ცეკვა „ქართულით“, ვისი შემოქმედებითი გენია ეჭიდებოდა ქვას, რომ შეექმნა ნიკორწმიდის შეუდარებელი ჩუქურთმები, ქვის ბარმნილის მომნუსხველი ულერად რომ ჩაესმა დიდ გალაკტიონს, ან ხელოვნების თვალშეუდგამ სამალლიზე ვინ აღაფრინა ყინწვისის ანგელოზი?!

ამაოდ დაშვრებოდა ყველი, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვინც შეეცდებოდა და დროის და სივრცის უსასრულობაში ამ უსახელო სახელოვან ავტორთა ძიებას შეუდგებოდა. ამაოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ აქ პასუხი ერთადერთია და სამეგალეიც არა არის რა: მათი ავტორია ხალხი, მისი მხატვრული ფანტაზია, მისი გენია — უამთასვლასავით მარადიული და სივრცესავით უკიდეგანო.

საუკუნეთა მანძილზე, დარი იყო თუ ავდარი, ნგრევა-ომი თუ აღმშენებლობა, ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია ქმნიდა ხელოვნების ყველაფაუალ მარგალიტებს, შიგ აწნავდა თავის სულსა და გულს, თავის ფიქრებსა და ოცნებებს, თავის დარდსა და სიხარულს, თვალის ჩინვით თავს ეკლებოდა და თაობიდან თაობას გადასცემდა. ასე სათუთად ადარა ეს უმდიდრესი განძი თავისი დიდი და მართალი გულით, ისტორიის ყოველგვარ ავბედობას გადაარჩინა და მარად თავმოსაწონებელ მემკვიდრეობად მოგვიტანა ჩვენ — მეოცე საუკუნის ადამიანებს.

მაგრამ ეს მემკვიდრეობა დღეს ისტორიის მტვერწყარილი განძი როდია. სოციალიზმის ეპოქამ, საბჭოთა ყოფამ ახალი, ფრიად ნაყოფიერი პირობები შეუქმნა საერთოდ ულტურის, და კერძოდ, ხალხური შემოქმედების, აყვავება-აღორძინებას. ეროვნული ხალხური ხელოვნება, რომელიც წინათ ბედის ანაბრად იყო მიტოვებული და მხოლოდ ცალკეულ ენთუზიასტთა ხელშეწყობით მიიკვლევდა გზას, საბჭოთა ქვეყანაში დიდი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა. სწორედ ამის უშუალო შედეგია ის, რომ ხალხური შემოქმედება დღეს არათუ დაცული და მოვლილია, არამედ სულ უფრო ვითარდება, მტკიცდება, მსოფლიოს გზებზე თამამად გადის და ახალ მორიზონტებს იპყრობს:

„სოციალიზმმა,—ამბობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — მშრომელი მასებისათვის არა მარტო ფართოდ მიესაწვდომი გახადა სულიერი ღირებულებანი, არამედ იმენი გადააქცია კულტურის უშუალო შემოქმედად. ამის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა ხალხის მხატვრული შემოქმედების უმაგალითო მასშტაბი“.

როგორია საბჭოთა ხალხის, ჩვენი მშრომელების თვისებრივად ახალი თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების ძირითადი ნიშანთვისება? თვითმოქმედი ხელოვნების მთავარი ნიშანი, — ნათქვამია „ვახეთ „პრავდის“ ამასწინანდელ მოწინავე წერილში „ხალხური ტალანტები“, — ეს არის შინაარსის, იდეური მიმართულების მჭიდრო კავშირი დროის საარსებო ამოცანებთან, მისწრაფება, რომ უფრო ხრულად, ნათელი და შთამბეჭდავი სახეებით გამოხატოს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ცხოვრება და შრომა.

ჩვენი პრესის ფურცლებიდან უკვე ცნობილია, რომ საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით 1975-1977 წლებში ეწყობა მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი.

რა ძირითად ამოცანებს ისახავს მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი? ეს ამოცანებია: ხალხური შემოქმედების მასობრიობის შემდგომი განვითარება, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება, საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური და მხატვრული აღზრდის გაუმჯობესება, თვითმოქმედი ხელოვნების ყველა ჟანრისა და სახეობის განვითარება, მისი მხატვრული, საშემსრულებლო დონის ამაღლება, რეპერტუარის გამდიდრება-გამრავალფეროვნება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ხალხთა ლენინური მეგობრობის პროპაგანდა ხელოვნების საშუალებებით, ხალხური მხატვრული შემოქმედების მატერიალური ბაზის განმტკიცება, საშეფო მუშაობაში შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართოდ მიზიდვა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ფართოდ გამოყენება მოსახლეობის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კულტურული მომსახურებისათვის...

ფესტივალი ხამ ტურად ეწყობა. პირველი ტური ტარდება 1975 წლის თებერვლიდან 1976 წლის თებერვლამდე საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სკოლებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სახმხედრო ნაწილებში, კლუბებში, კულტურის სახლებში, რაიონებსა და ქალაქებში; მეორე ტური — 1976 წლის მარტ-სექტემბერში ხალქო და სამხედრო ცენტრებში, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებში. მესამე ტური — 1976 წლის ოქტომბრიდან 1977 წლის მარტამდე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და რუსეთის ფედერაციის ზონების მიხედვით. ფესტივალი დასრულდება 1977 წლის მეორე ნახევარში მოსკოვში, სადაც მოეწყობა დიდი დასკვნითი ზეიმი.

ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მუშაობა გაიშალა მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალში საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების ფართოდ მონაწილეობისათვის. შექმნილია და მუშაობს ფესტივალის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, მისი ბიურო და სამდივნო, აგრეთვე ცალკეული სექციები — მუსიკალურ-საორკესტრო, საგუნდო-ვოკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, კინოხელოვნების, ფოტოხელოვნების, საცირკო ხელოვნების სექციები.

საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშავა და საოლქო, საქალაქო და სარაიონო საორგანიზაციო კომიტეტებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დაუგზავნა საგანგებო რეკომენდაციები ფესტივალის პირველი ტურის ჩატარების ორგანიზაციული და პროპაგანდისტული ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციები ფესტივალის ტრადიციული დღესასწაულების — სამხედრო-პატრიოტული სიმღერისა და მუსიკის, სასულე მუსიკის, ახალგაზრდული სიმღერების, შრომისა და ხაბჭოთა ხალხის მეგობრობის სიმღერებისა და მუსიკის დღესასწაულების ჩატარების შესახებ.

საქართველოს მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების ფესტივალის საზეიმო გახსნა მოხდა 21 მარტს თბილისში, სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში. ასე რომ სტატი უკვე აღებულია. ახლა ამოცანა ის არის, რომ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა ორგანოები, შემოქმედებითი ორგანიზაციები და თვით ფესტივალის მონაწილე თვითმოქმედი კოლექტივები მთელი გულისხყურით, მთელი მონდომებით მოეკიდონ ხალხური შემოქმედების ამ დიდი დათვალიერება-დღესასწაულისათვის სრულყოფილად მომზადებას და ყველაფერი გაკეთონ მისი მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე ჩატარებისათვის. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ფესტივალი ხალხური კულტურის ნამდვილ ზეიმად, სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინური კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი საბჭოთა ხალხის ერთგულების დემონსტრაციად.

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დამკვრელური ვახტზე

იპისრე? — შეასრულე კიდეც!

ბრიგადის ერთსულოვნება

ცხინვალი. (საკ. კორ.). სახელოვანი ადამიანები შრომობენ ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკაში. დაბოლმა შრომამ, ხარისხისათვის შეუპოვარმა ძიებამ მნიშვნელოვნად აამაღლა საფაბრიკო მარკის ღირსება.

ცხინვალელი მკერავები ზუსტად გრაფიკით შრომობენ; ისინი უკლებლივ ასრულებენ წლიურ, კვარტალურ, თვიურ და ყოველდღიურ გეგმებს. პროდუქციის რეალიზაცია გეგმიურად მიმდინარეობს.

მაგრამ სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივში განსაკუთრებით გამოირჩევა ქალთა ბრიგადა, რომელსაც ფანია კოჩიევა ხელმძღვანელობს. ბრიგადაში 25 წევრია, უმთავრესად ახალგაზრდობა. ბრიგადირი კი შრომის ვეტერანი, მკერავი გოგონების საუკეთესო მრჩეველი და დამრიგებელია.

ბრიგადამ წლის დასაწყისშივე შემტვი ტემპი აიღო. გადაჭარბებით შესრულდა ჯერ იანვრის, მერე თებერვლის პროდუქციის გამოშვების შემხვედრი გეგმები და აი მკერავებმა კვარტალიც ჩინებული მაჩვენებლებით დაამთავრეს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის შემდეგ ბრიგადამ ახალი ვალდებულებები იკისრა. ბრიგადის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ფ. კოჩიევას წინადადებას — წლეულს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 76 ათასი მანეთის პროდუქცია, 20 ათასი წანეთით მეტი, ვიდრე ადრე იყო გათვალისწინებული.

ფანია კოჩიევას ბრიგადამ მარტის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 26 რიცხვისათვის გაანადღა. მას შემდეგ მკერავები პროდუქციას აპრილის ანგარიშში უშვებენ. მისასალმებელია, რომ გამომვებული პროდუქცია მთლიანად რეალიზებულია.

— ჩვენი ბრიგადა, — ამბობს ფ. კოჩიევა, — ყოველთვის დაძაბულად შრომობს. ჩვენთვის მაღალნაყოფიერი შრომა აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. ბრიგადა თვითეული წევრის სამუშაოს შედეგითაა დაინტერესებული, ხოლო ბრიგადის ყველა წევრს კი ერთნაირად აწუხებს ბრიგადის გეგმების შესრულების ბედი. ამიტომ ჩვენ მოხარული ვართ, რომ გეგმების შესრულებასთან ერთად ხარისხიც საუკეთესო გვაქვს.

ახლა ბრიგადა აპრილის საწარმოო გეგმების შესრულებაზე შრომობს. მკერავები კვლავ ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ უფრო ადრე და ჯაღლუნრისხოვნად შეასრულებს დავალებას!

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გმირი კვლავ მწყობრშია

სამტრედია. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 25 მოძრავი მექანიზებული კოლონის მოწინავე მშენებლებმა ახალი გადაწყვეტილი ვალდებულება იკისრეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახვედრად, რომ მეცხრე ხუთწლედის დავალება შეასრულონ გამარჯვების დღეს.

მშენებლებმა ერთ-ერთი კომპლექსური ბრიგადის წევრად ჩარიცხეს დიდი სამამულო ომის ლეგენდარული მებრძოლი, საბჭოთა კავშირის გმირი არკადი გეგეშიძე.

— ამირიდან ბრიგადის 11 წევრი შეასრულებს 12 კაცის გეგმას, გმირის სახელზე გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება — განაცხადა ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა დავით ბაღდავაძემ.

კომპლექსური ბრიგადის წევრებმა შ. ადეიშვილმა, ჯ. ძნელაძემ, ბ. ცინცაძემ და სხვებმა გადადებული ვალდებულებანი იკისრეს.

შინმოუსვლელის მაგივრადაც

ეს დღეები სოფლად

ზვრებსა და მინდვრებში

ბოლნისი. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ნ. ლობახიძეს და მთავარ აგრონომს რ. ჭოკონელიძეს მინდორში შეეხვედრო.

— ახლა კულტივაციას ვამთავრებთ და პირველი აპრილიდან უკვე შეუოდგებთ სიმინდის თესვასო, თქვეს მათ. იქვე საუბარში გაირკვა, რომ დროულად შეუკეთებიათ და გაუმზადებიათ სათესი მანქანები, სხვა ტექნიკა. უზრუნველყოფილი არიან თესლითაც. მხვნელ-მთესველთა ვალდებულებაა სიმინდის დათესვა 320 ჰექტარზე აგროვადებში დაამთავრონ.

შემდეგ მეურნეობის ხელმძღვანელებმა კარტოფილის ფართობებში გადაინაცვლეს. სწორედ იმ დღეს მთავრდებოდა უკანასკნელ ჰექტარებზე ამ კულტურის თესვა. წელს სარეკორდო მაჩვენებლებს უნდა მივაღწიოთო — განაცხადეს მეკარტოფილეებმა.

ბოლნისელმა მშრომელებმა გადადე დაამთავრეს შვრიის თესვა. ამ კულტურას აქ 126 ჰექტარი უჭირავს. სასიამოვნოა, რომ მიწის თოთქმის ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებულია. წელს მეურნეობის ტექნიკური ბაზა ახალი მანქანებით შეივსო.

მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობაა. მწვრილთა შორის ნიადაგი 900 ჰექტარზე დამუშავებული. ახლა კი აქ ვაზის გასხვასა და შპალერის წესრიგში მოყვანაზე ზრუნავენ. თუმცა მევენახეებს მხედველობიდან არც ნიადაგის განოყიერების საქმე გამორჩენიათ. მალე დაიწყება მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა.

მევენახეებს კარგ სამსახურს უწევს ვაზის საკთარი სანერგე, რომელიც ორი წლის წინათ გაშენდა ხუთ ჰექტარზე. წელს უნდა დამყნან 600.000 ნამყონი, 31 მარტისათვის უკვე დამყნილი იყო ნახევარზე მეტი.

გაზაფხულის თბილ ამინდებს ბოლნისელები ხეხილის მოვლა-პატრონობაზე კარგად იყენებენ. ძირების შემობარვასა და გასხვლას რომ მორჩნენ, შემდეგ მეხილეები ბაღების მინერალური ზეთით შეწამვლას შეუდგნენ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დამამთავრებელი წლის კალენდარი

200 — მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

120 — მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მეორე კვარტალი დაიწყო. უფრო ავამაღლოთ ტემპი, ეფექტიანობა, გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის დამლევამდე 271 დღე დარჩა

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა უნგრეთის სოციალისტური მეშუამავლობის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ იანოშ კადარს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პალ ლომონცის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ენე ფოკს გუგუბავნეს მისასალმებელი დეპეშა ღირსშესანიშნავი იუბილეს — ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მთელი საბჭოთა ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, გულწრფელად და გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ უნგრეთის სოციალისტური მეშუამავლობის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მოძმე უნგრეთის ყველა მშრომელს.

ოცდაათი წლის წინათ, 1945 წლის ღირსსახსოვარ აპრილის დღეებში, საბჭოთა არმიამ მთლიანად დაამთავრა უნგრეთის განთავისუფლება ჰიტლერული ოკუპანტებისა და მათი ფაშიტ-ხორტისტი დამქაშებისაგან. უნგრელი ხალხის წინაშე დასახა ყველა ფორმის ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალი ახალი ცხოვრების მშენებლობის ფართო და ნათელი პერსპექტივები. მეშუამავლობა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის მშრომელებმა, რომელნიც საშობლოს მეფის ბატონ-პატრონი გახდნენ, განახორციელეს კარდინალური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომელთა მსგავსი ამ ახსოს უნგრეთის ათასწლოვან ისტორიას. ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმს, და ამჟამად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნი, თავიანთი მებრძოლი ავანგარდის — უნგრეთის სოციალისტური მეშუამავლობის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანას, დღევანდელი უნგრეთი აყვავებული სოციალისტური სახელმწიფოა თანამედროვე ინდუსტრიით, კოოპერირებული სოფლის მეურნეობით, ხალხის კეთილდღეობის, მეცნიერებისა და კულტურის მაღალი დონით. უნგრეთის სოციალისტური მეშუამავლობის პარტიის ამსწინანდელ XI ყრილობაზე შეაჯამეს შუამავლობელი შრომის შედეგები და დასახეს კომუნიზმის გზით ქვეყნის შემდგომი განვითარების დიდებული გეგმები. აღნიშნავენ რა მოძმე უნგრეთის სახელოვან იუბილეს, საბჭოთა ადამიანები შეჰხარიან უნგრეთის მშრომელთა წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრულ ოჯახში.

გასული ოცდაათი წელი იყო ნამდვილი ამხანაგური თანამშრომლობისა და ერთიერთდახმარების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდი, საერთო დიდი მიზნებისათვის ერთობლივი შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის წლები. სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ყოველმხრივ თანამშრომლობას საუუბვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მეშუამავლობის პარტიის კავშირი და შეხედულებათა ერთიანობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა ძირითად საკითხში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ერთიერთობას, რომელიც ჩვენი პარტიებისა და ხალხების საერთო მონაპოვარია.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის გაძლიერებაში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის განმტკიცებაში, რომელიც უკვე 20 წელია მისი მონაწილეების მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტიას წარმოადგენს. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პრაქტიკულ განხორციელებაში.

წლითიწლობით ეზრდება საერთაშორისო აქტორიტეტი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების პრაქტიკულად დამკვიდრებისათვის, იმისათვის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შეუქცევადი ხასიათი მიენიჭოს.

გვინდა აღვნიშნავთ, ძვირფასო ამხანაგებო, აღნიშნული დეპეშაში, რომ საბჭოთა კავშირი, ჩვენი კომუნისტური პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ მეგობრობისა და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის. გისურვებთ ახალ წარმატებებს უნგრეთში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. აყვავებას ვუსურვებთ მოძმე უნგრელ ხალხს. (საკ. ინ.).

საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

3 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ მიიღო ჟურნალ „ვეფხვის“ მკითხველთა ჯგუფი, ბ. ალექსანდრიას ქ. № 1 ... ...

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

გაიმართა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშაც განხილა საკითხი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამოცანები. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი, მინისტრები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, გაერთიანებებისა და ტრესტების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები.

მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ჭითანავამ.

□ □

მოხსენებაში, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ლ. არძინბას, ნორაოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მ. მდივნის, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ა. ანანიძის, თელავის რაიონის სოფელ სანაორის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. მარგალიტაშვილის, საბრჭეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის გ. ტოტჩიევის, ხუჯდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ა. კუტალიას, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მმართველის ა. მგელაძის, ფცის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ს. წოწოლაშვილის, ნიადაგცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის ო. ონიანიის, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. ჯაბუას, ხუმუშკურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ქავთარაძის გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ კარდინალურ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მტკიცედ ძლევს წარსულს სერიოზულ ჩამორჩენას და გეგმაზომიერად გადის მოწინავე პოზიციებზე. უკანასკნელი ორი წლის მთავარი პოლიტიკური შედეგი, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, ის არის, რომ სკკპ XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ შემუშავებული პარტიის ხაზი, რომელსაც განუხრელად იცავენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები, უზრუნველყოფს წარმატებებს რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის განმტკიცებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. სოფლის მეურნეობაში დაისახა ობტიმალური ტენდენციები, რომლებიც გვიხერგავს რწმენას, რომ ხუთწლედის გეგმები შესრულდება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

კრებაზე კეთილი სიტყვით მოიხსენიეს მეჩიათია კარგი საქმეები, რომლებმაც შარშან მაღალს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 312 ათასი ტონა. ამასთან დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის მათ შთაგონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომელმაც საქართველოს მეჩიაეებს, ყველა მშრომელს მიღწეული წარმატებები. კარგად აქვთ საქმე მხვნელ-მთესველებსაც, რომლებმაც შარშან შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა და სამშობლოს ბეღლებში ათასობით ტონა ხორბალი შეიტანეს მეათე ხუთწლედის ანგარიშში. უკვე ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მოსახლეობა ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით, ცოტრუსებით, რძით, ხორცით, კვერცხით, სხვა სურსათ-სანოვაგით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით: შაქრის ჭარხლით, თამბაქოთი, აბრეშუმის პარკით, სხვა პროდუქციით. დაძაბულად შრომობენ ჩვენი მევენახეები, რათა მოკლე ვადაში აღმოფხვრან 1971-1972 წლების მკაცრ ზამთარში პლანტაციებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალი და უზრუნველყონ ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულება.

კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის განვითარების პრინციპულ საკითხებსა და საკვანძო პრობლემებს, რომელთა შორის მთავარია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება, შრომის დიდი ნაყოფიერება, ორგანიზებულობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევათა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის განვითარებაში — მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დაბალი კულტურა, მიწის სავარგულების, სარწყავი წყლის არარაციონალური გამოყენება, მფლანგველობა, დამყაყებულობა, კონსერვატიზმი, რაც ჯერ კიდევ გვხვდება აქა-იქ. კრებაზე ითქვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაგაძლიერეროთ ბრძოლა ანტისოციალისტური საყოფაცხოვრებო ნარჩენების, — სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, მუქთახორობის, სხვა ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, იმას, რომ შშრომელებს ჩავუნერგოთ შეგნებული, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, ჩამოვუყალიბოთ კომუნიზმის მშენებლის მორალური სახის საუკეთესო თვისებები.

კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის უმდიდრეს ბუნებრივ პირობებს, ჩვენი გლეხობის სახელოვან შრომითს ტრადიციებს, წარმოების რეზერვებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. ამის შედეგია სწორედ მთელი რიგი დარგების და განსაკუთრებით მეცხოველეობის ნამორჩენი. ბევრ რაიონში მიწათმოქმედება დაბალ დონეზეა, არ შეესაბამება ჩვენს მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს. მართალია, რესპუბლიკაში შესაბამისად გაიზარდა თავთავიანი მარცვლეულის მოსავლიანობა, მაგრამ ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვლეულის მიღება არ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. წოთელწყაროს, სოღნაღის, თელავის, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელი რიგი მეურნეობებს ჰექტარზე მოჰყავთ 30-35-40 ცენტნერი და მეტი თავთავიანი კულტურების მოსავალი, მოწმობს ჩვენი მხვნელ-მთესველების უდიდეს შესაძლებლობებს. სერიოზულ საყვედურს იმსახურებენ მთელი რიგი რაიონები მუშაკება, სადაც ჯერ კიდევ ცალრა თავთავიანი მარცვლეულის და განსაკუთრებით სიმინდის მოსავლიანობა. თათბირის მონაწილეებმა მოიყვანეს მაგალითები, როცა სიმინდის თესვა ლამის ზაფხულამდე, მოსავლის აღება კი შუა შემოდგომამდე ჭიანურდება, როცა არღვევენ ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკურ წესებს, ურიგდებიან ყანების დასარეკლინებას, ყაირათიანად არ იყენებენ სასუქებს, არ სრულყოფენ მეთესლეობას. გასაოცარია ისიც, რომ გ. პაპალაშვილის მიერ გამოყვანილი უხვმოსავლიანი, მრავალტაროიანი სიმინდი რესპუბლიკაში უკიდურესად ნელი ტემპით ინერგება, მაშინ როცა მას დიდი ფერთოებები უკავია საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში.

მეგანახეობის მდგომარეობის ანალიზი მოწმობს, რომ მკაცრი ყინვით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისათვის შეშაობა ყველაზე ნაყოფიერი იქ არის, სადაც მკაცრ კონტროლს უწევენ ყურძნის — ხალხისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან მიმართულებებს.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ მაგალითად, გურჯაანის რაიონის ძეურნეობებში. მაგრამ მეგანახეობაშიც, მეხილეობაშიც, მეჩაიეობაშიც ნარგავების სიმეჩხრის აღმოფხვრა ხელა მიმდინარეობს. სიმეჩხრის გამო კი ჩვენ გვაკლდება ათასობით ჰექტარი ძირითადი კულტურები. მეჩაიეობაში, მაგალითად, ეს ციფრი რვა ათას ჰექტარს აღწევს. დამახასიათებელია, რომ ადგილებზე არა აქვთ სიმეჩხრის ლიკვიდაციის სამუშაოთა მყარი პროგრამა, უფრო მეტიც, რაიონის მასშტაბით არავინ არ აგებს პასუხს ნარგავების სიმეჩხრის აღმოფხვრის დარგში საქმის მდგომარეობისათვის.

კრების მონაწილეთა მთავარი ყურადღება დაეთმო ხილის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხებს, ამასთან ითქვა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში ფართოდ უნდა დაინერგოს მეხილეობის პროგრესული ხერხები, კერძოდ, პალმეტური მებადეობა, რომელიც უზრუნველყოფს ჰექტარზე 250-300 ცენტნერი ხილის მიღებას.

ბევრი რამ გაკეთდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გასაფართოებლად, მაგრამ აქაც გვაქვს დიდი რეზერვები, რომელთა გამოყენება საშუალებას მოგვცემს უახლოეს ორი-სამი წლის მანძილზე საესებით უზრუნველვყოთ ამ პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობა და გავიტანოთ მის ფარგლებს გარეთ. ითქვა, რომ ბოლო უნდა მოეღოს ჩამორჩენას ლობიოს, სოიის, სხვა პროდუქციის წარმოებაში.

მეცხოველეთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ნაკარნახევია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ის არის, რომ უზრუნველვყოთ ინტენსიური სარძეო მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, განვავითაროთ სპეციალიზებული სახორცე მესაქონლეობა და მეფრინველეობა, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ცხვრისა და თხის სულადობა და მათი პროდუქტიულობა, საერთაშორისო საფუძველზე მოვაწყოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულისა და ღორის სუქება, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების საიმედო ვეტერინარული დაცვა. სახელმწიფო დიდმნიშვნელოვან დარგს — მეცხოველეობას მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზას უქმნის. მისი გამოყენებით რესპუბლიკაში ხორციელდება ხორციანი და რძის, კვერცხის წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია საკოლმეურნეო-ბათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, ბევრი საკითხი უნდა გადაწყვიტონ, ეფექტიან ღონისძიებათა მთელი სისტემა უნდა განახორციელონ, რათა აღმოფხვრან ჩამორჩენა მეცხოველეობაში, გაზარდონ ყოველგვარი პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. იქ, სადაც მთელი პასუხისმგებლობით, შეგობრულებითად ეკიდებიან საქმეს, მეცხოველეობაში უკვე დაისახა სასიხარულო ცვლილებები.

გურჯაანის რაიონი ტიპობრივი მეგანახეობის რაიონია. მეცხოველეობა აქ თითქმის არ ვითარდებოდა. მაგრამ აი რაიონის ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებშიც შერწყმულა დიდი პოლიტიკური შეგნება და კარგი პროფესიული მომზადება, რომლებსაც უნარი შესწევთ საქმის ცოცხალ გადაკრას ეკონომიკისა და კულტურის საკითხებზე. ფლობენ მუშაობის თანამედროვე მეთოდებს. ახლა გურჯაანის რაიონში მეცხოველეობა მტკიცედ ვითარდება. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ასოქებენ 5 ათასამდე მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. ამასთან შემოდგომისათვის ეს ციფრი 10 ათასამდე გაიზრდება. პირუტყვის ინტენსიურ გასუქებაზე გადავიდნენ სიღნაღის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, სამტრედიის, აბაშის და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობები. გეგმაზომიერად იზრდება წველადობაც.

სიძნელეებსა და სერიოზულ პრობლემებს, რომლებიც მეცხოველეობაში წამოიჭრება ხოლმე, აღინიშნა კრებაზე, ჩვეულებრივ ხსნიან საკვების ნაკლებობით, მაგრამ, რაც უნდა უცნაური იყოს, ამავე დროს მთელ რიგ რაიონებში არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს უხვში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების წარმოების ზადიდებისათვის. და, პირიქით, იქ, [illegible] ყაირათიანად მოპყრდეს საკვებ ხელა, გამოინახა მიწიდ[illegible] საძლებლობანაც მყარ[illegible] ბაზის შესაქმნელად. [illegible] ცენენ გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, წითელწყაროს, აბაშისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფერმების მხოლოდ მომარაგება, თუ არ შეეცვალეთ პირუტყვის მოვლის ძველი მეთოდები, ნაყოფს არ იძლევა. საჭიროა, რომ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საბჭოთა მექანიზაცია მკვეთრად ზრდიდეს ფერმების ყველა კატეგორიის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას, ცვლიდეს მეცხოველეთა შრომის ხასიათს და საფერმო საქმეს უახლოებდეს ინდუსტრიულ წარმოებას. ეს ქმნის, როგორც კრების მონაწილენი მოითხოვენ, იმის საკიროებას, რომ უკვე ახლა მოკიდოთ ხელი მექანიზებული ფერმებისა და კომპლექსებსაკენ საჭირო კადრების ფართო მომზადებას, ვიზრუნოთ მოქმედი ფერმების მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის, შეეფერხნათ მათ დიდად ნაყოფიერი მუშაობისა და საქმიანი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების ყველა პირობა. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 70-იანი წლების სოფლის მშრომელი უნდა იყოს ფართო დაპაზონით მოაზროვნე ადამიანი, იცოდეს აგროქიმიის, ზოოტექნიკის, ვეტერინარიის საფუძვლები, იგი უნდა იზრდებოდეს, იძენდეს მეტ ცოდნას ეს ცხოვრების მოთხოვნა, თანამედროვეობის მოთხოვნაა.

სოფლის მეურნეობაში დიდად ნაყოფიერი მუშაობის მებრძოლი ორგანიზატორები, როგორც კრებაზე აღინიშნა, უნდა გახდნენ სპეციალისტები. მათს შემოქმედებითს მეცადინეობაზე, ინიციატივასა და გულმოდგინეობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. უხვი მოსავალი, დიდი წველადობა, პირუტყვის დიდი წონამატება, ტექნიკის დიდი მწარმოებლობა — ინ. აგრონომის, ზოოტექნიკოსის, ვეტერინარის, ინჟინერ-მექანიზატორის სიმწიფის ატესტატი.

კრების მონაწილეებმა სამართლიანად გააკრიტიკეს ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, კერძოდ, მიწათმოქმედების, მებადეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტების საქმიანობა. ამ ინსტიტუტებმა კოლექტივების გაფლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში [illegible]. მეცნიერ[illegible] — [illegible] ბლემებზე, რომელთაც წარმოებაში [illegible] ინტერესებული. ზოგიერთი მეცნიერის საქმიანობაში, სამწუხაროდ, შეინიშნება ბიუროკრატიზმი, მონოპოლიზმი, სხვა მოვლენები, რომლებიც ბიანს აყენებს საერთო საქმეს.

დიდი ყურადღება დაეთმო მენდობილი საქმისათვის, მართვის, დაგეგმვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ყველა რგოლის, მათ შორის თვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, მუშობაში ნამდვილად პარტიული სტილის დამკვიდრებას.

ზრდიან რა სოფლის მშრომელთა აქტივობას, ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები უნდა უჩვენებდნენ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულების მაგალითს, ისინი უნდა იყვნენ ყოველივე ახლის, პროგრესულის გამტარებლები, უზრუნველყოფდნენ მასობრივ და ქმედით სოციალისტურ შეჯიბრებას. არსებობს ბევრი ნაცადი ფორმა და საშუალება მიზნის მისაღწევად. ეს არის შეჯიბრების ფართო საჯაროობა, მისი შედეგების შესადარება, მოწინავე გამოცდილების განმეორების შესაძლებლობა, მორალური და მატერიალური სტიმულირების უნარიანი გამოყენება, მოწინავეთა შეფობა ჩამორჩენილებისადმი და ბევრი სხვა რამ. შრომითი შეგნების შემდგომი განვითარება, ადამიანთა აღზრდა შრომისადმი კომუნისტური ოდამიდებულების, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის ამაღლების სულისკვეთებით განამტკიცებს შრომის დისციპლინას, აღმოფხვრის მუქთახორობას. ყოველივე ეს საზოგადოებრივი ფოლოსის ზრდის კიდევ ერთი რეზერვია, თანაც ისეთი, რომელიც კაპიტალურ დაბანდებას არ მოითხოვს და მალე იძლევა ნაყოფს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

* * *

კრების მონაწილეებმა მიიღეს ხუთწლედის დამამთავრებელ ელფწლის სოციალისტური ვალდებულება და შეჯიბრებაში გამოიწვიეს რესპუბლიკის მეელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო. (საქინფორმი).

მეცნიერების ჰორიზონტები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელზეც შეაჯამეს საქართველოს მეცნიერთა განვლილი წლის საქმიანობის შედეგები, განიხილეს შემდგომი შუშაობის პერსპექტივები.

საერთო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ე. ხარაძემ. იგი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანებს, რომლებიც გაძოძდინარეობს „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII, XIV, XV პლენუმების დადგენილებებიდან, ხაზი გაუსვა, რომ აკადემიის ცხრაათასიანი კოლექტივი დიდი შემოქმედებითი აღტაცებით შეუდგა 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინა საერთო გაფართოებულ კრებას, თქვა ორატორმა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების წარმომადგენლები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერული კვლევის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის ცხოვრებაში წინაა არსებული ნეგატური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

გამოსვლაში აღინიშნა ის მუშაობა, რომელსაც აკადემიის პრეზიდიუმი ეწევა მეცნიერთა შრომისა და საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესებისათვის, აკადემიის დაწესებულებათა საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

სიტყვაში დიდი ადგილი დაეთმო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ საქმიანობას. ორატორმა აღნიშნა გარკვეული მიღწევები მეცნიერული ლიტერატურის გამოცემის საქმეში და ყურადღება გაამახვილა არსებულ ნაკლოვანებებზე. მან მოიყვანა საწარმოო დისციპლინის დარღვევის, არაობიექტური, ზოგჯერ დაუსაბუთებელი სახოტბო სტატიების გამოქვეყნების ფაქტები, აღნიშნა მასალების ლიტერატურული დამუშავების დაბალი ხარისხი.

საჭიროა სათანადო წესრიგი დამყარდეს გამომცემლობა „მეცნიერების“ მუშაობაში, რათა მისი პროდუქცია შეესაბამებოდეს დღევანდელი დღის გაზრდილ მოთხოვნებს.

აკადემიკოსმა ე. ხარაძემ მიულოცა სამოო მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოება 1974 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

შემდეგ მან დიპლომები გადასცა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ხ. არეშიძეს და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს გ. ჩიკავძეს, რომლებმაც პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიები დაიმსახურეს ქიმიის დარგში ნაშრომების ციკლისათვის, და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დ. თავხელიძეს, რომელსაც გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დარგში გამოკვლევებისათვის.

„ბუნების მეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1974 წლის კვლევითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი შედეგები“ — ასეთი მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მდივან-აკადემიკოსმა ნ. ლანდიამ.

მეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორი, — თქვა მომხსენებელმა, — უპირველეს როლს ასრულებს იმ უდიდეს შემოქმედებითს მუშაობაში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. რესპუბლიკის მეცნიერები აქტიურად მუშაობენ მეცნიერული ნაშუშევრების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ფუნდამენტური კვლევის შემდგომი გაძლისათვის, თავს უყრიან ძალებსა და სახსრებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე, სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში.

მან თქვა, რომ განვლილი წელი აკადემიის დაწესებულებებისათვის ახალი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგებით აღინიშნა. მთლიანად შესრულდა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმა. დიდი მუშაობა გასწიეს ქართველმა ქიმიკოსებმა მანდეულსა და რუსთავში იმ დავალებების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ხუთწლედის განმაზღვრელ წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები ამუშავებდნენ 179 პრობლემას თანამედროვე მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე, მეცნიერებმა დაამთავრეს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის 190 ნაშრომი.

შარშან ინტენსიური კვლევა მიმდინარეობდა თანამედროვე მათემატიკისა და მისი გამოყენების ყველა ძირითადი მეცნიერული მიმართულებით.

საქართველოს ფიზიკოსები განაგრძობდნენ კვლევას დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის, პლაზმის ფიზიკის, მყარი სხეულების თეორიის შესწავლისა და სხვა დარგებში.

ასტროფიზიკოსები განაგრძობდნენ გალაქტიკის აგებულების, მთვარის ზედაპირის ბუნების კვლევას და სხვ.

გეოფიზიკის ინსტიტუტში საინტერესო შედეგებია მიღებული კოსმოსური სხივების ვარიაციებისა და დედამიწის რადიაციული სარტყლების შესწავლის, ატმოსფეროში ელექტრონების განაწილების დარგში.

გეოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შედგენილია და გამოიცა კავკასიის ტექტონიკური რუკა — სპეციალიზებული რუკების შედგენის საფუძველი.

საქართველოს გეოგრაფებმა შეიმუშავეს ამიერკავკასიის წყლის ბალანსის კვლევის მეთოდიკა, წამოაყენეს ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის ნაპირების დაცვის პრაქტიკული რეკომენდაციები.

პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის თანამშრომლებმა შეისწავლეს ნაბეღლავის მინერალური წყლის საბადოს ჰიდროგეოლოგია.

კიდევ უფრო განვითარდა სამუშაოები გამოყენებითი მექანიკისა და ზართვის პროცესების დარგში.

დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტას ისახავს მიზნად მართვის სისტემების, მანქანების მექანიკის, სამთო მექანიკის, საშენებელო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტების მუშაობა.

მომხსენებელმა ილაპარაკა მნიშვნელოვან შედეგებზე, რომელებსაც შარშან მიაღწიეს მეცნიერმა ქიმიკოსებმა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ნაშრომებს მანგანუმისა და მისი შენაერთების, ქიმიურ პროცესებზე გამოსხივების გავლენის შესწავლისა და სხვა დარგებში. ზოგიერთი მათგანი წარმატებით ინერგება მრეწველობაში.

მეცნიერების ჰორიზონტები

ჩაის პლანტაციებში

მექანიზატორის წვლილი

ნლეულს უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეულის ამ დევიზით გაიჩალეს სოციალისტური შეჯიბრება ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა. მათ შარშანაც თავი ისახელეს — მთელი დამზადებული ჩაის ფოთლის 73 პროცენტი მანქანებით მოკრიფეს. ამან ერთიორად და მეტად შეამცირა შრომის დანახარჯები ცენტნერი ნედლეულის წარმოებაზე.

ახლა ინგირელი მექანიზატორები ამთავრებენ საგაზაფხულო სამუშაოებს და ემზადებიან კრეფის სეზონისათვის. მათ ავროტექნიკურ ვადებში შეიტანეს პლანტაციებში მინერალური სასუქები, დამთავრეს ბუჩქების გასხვლა, მწკრივთაშორისებში კულტივაცია. მალე შეუდგებიან აზოტის პირველი დოზის შეტანას.

ინგირელებმა ხუთწლიანი დავალება ჯერ კიდევ 1974 წლის ივლისში შეასრულეს და მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩაის ფოთოლს მეათე ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფენ. მექანიზატორებს შორის დაწინაურდა ა. ქირია, რომელსაც ზემო სურათზე ხედავთ; ქვემოთ აღბეჭდილია ჩაის პლანტაციის რიგოთა შორისების კულტივაციის მომენტი.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



გამარჯვებული სტამბა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიულ საწარმოთა შორის თბილისის № 1 სტამბის კოლექტივი ზედიზედ რამდენიმე წელია აღწევს მაღალ საწარმოო-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

შარშან მიღწეული წარმატებებისათვის თბილისის № 1 სტამბის კოლექტივი ცნეს რესპუბლიკური ხოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და დაჯილდოეს სახელოვანი წოდებით „ლენინური“.

ამ ... [illegible] ... ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც კაპიტალურ დაბანდებას არ მოითხოვს და მალე იძლევა ნაყოფს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

* * *

კრების მონაწილეებმა მიიღეს ხუთწლედის დამამთავრებელ ელფწლის სოციალისტური ვალდებულება და შეჯიბრებაში გამოიწვიეს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო. (საქინფორმი).

„ლუნა-22“: ათი თვე მთვარისირგვლივ ორბიტაზე

ზორაული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 2 აპრილი. (საკდესი). ათი თვეა მეცნიერულ კვლევას ეწევა მთვარისირგვლივ სივრცეში „ლუნა-22“ ავტომატური სადგური, რომელიც სელენოცენტრულ ორბიტაზე 1974 წლის 2 ივნისს გაიყვანეს.

2 აპრილს 11 საათზე მოსკოვის დროით სადგურმა დედამიწას შემოუფრინა 2.842-ჯერ. ამჟამად მოძრაობს ტრაექტორიის რამდენიმე კორექციის შემდეგ „ლუნა-22“ ავტომატური სადგური განაგრძობს ფრენას ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 1.409 კილომეტრი;

— მინიმალური სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 200 კილომეტრი;

— დახრილობა მთვარის ეკვატორის სიბრტყისადმი — 21 გრადუსი;

— მიმოქცევის პერიოდი 3 საათი და 12 წუთი.

სადგურის ფრენის დროს მოეწყო კომპლექსური მეცნიერული კვლევა, მათ შორის:

განსაზღვრავდნენ მთვარისირგვლივ სივრცის ფიზიკურ მახასიათებლებს;

ზომავდნენ მთვარის გრავიტაციული და მაგნიტური ველების მახასიათებლებს;

სწავლობდნენ მთვარის ზედაპირის ცალკეული რაიონების რელიეფის ხასიათს.

ფრენის დროს სრულდება აგრეთვე „მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები, რომელთა შედეგებს გამოიყენებენ პერსპექტიული ხელსაწყოებისა და კოსმოსური აპარატების სისტემების შემუშავების დროს.

კვლევის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას საიმედოდ უზრუნველყოფს მიწისზედა საკომანდო-საზომი კომპლექსი.

სადგურ „ლუნა-22“ სამეცნიერო აპარატურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. სადგურიდან მიღებულ სამეცნიერო ინფორმაციას ამუშავებენ და სწავლობენ.

„ლუნა-22“ ავტომატური სადგურის ფრენა გრძელდება.

სოციალისტური შეჯიბრების დარბაზი

ვანი. (საკ. კორ.). პარტიის რაიონული კომიტეტის აღმასრულებელ-ცეულ სახლში გაიხსნა სოციალისტური შეჯიბრების ამსახველი მასალებისა და დოკუმენტების გასაცხობი დარბაზი. აქ წარმოდგენილია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის გაშ



ბუდაპეშტი. ქალი, რომელსაც თავს ზემოთ მშვიდობის პალმის ტოტი აღუმართავს, და ქვემოთ მუდმივ ყარაულად მდგომი ხაბეთთა ჯარისკაცი... უნგრელი მოქანდაკის ყიგმუნდ კიშფალუდი-შტრობლიანს ეს ძეგლი დადგმულია გელერტის მთაზე.

ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30-ე წლისთავი

თავისუფლების, აღორძინების დიდი გზა

ოთხი აპრილი სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხის ყველაზე დიდი დღესასწაულია. ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა არმიამ საბოლოოდ განდევნა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან გერმანელ ფაშისტთა ჯარები.

განთავისუფლების დღეს ჩვენ განსაკუთრებით პატივს ვცემთ იმ საბჭოთა მებრძოლების ხსოვნას, რომლებმაც თავი დადეს უნგრელი ხალხის განთავისუფლებისათვის. მათი სახელები სამარადისოდ ჩაიწერა უნგრეთის ისტორიაში. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს — უნგრელ კომუნისტებსა და ანტიფაშისტებს, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სამართლიანობისა და თავისუფლების იდეებს ერთგულნი დარჩნენ.

უნგრეთის ისტორიის ახალი ეპოქის დასაწყისი მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტიფაშისტურ ბრძოლასთან. საბჭოთა არმიის დარტყმებით სამუდამოდ დაემხო ძველი რეჟიმი, დაარსებულია ფაშისტური სახელმწიფო მანქანა. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტმა, მისი არმიის ძალიერებამ, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა, დიპლომატიურმა და ეკონომიურმა მხარდაჭერამ საგრძნობლად შეუწყო ხელი უნგრეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გაშლას, უნგრეთის პროგრესული ძალების განმტკიცებას.

ჩვენ გამოვიყენეთ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის პროცესში დაგროვილი დაგეგმვის, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მდიდარი გამოცდილება. საბჭოთა კავშირთან დადებულმა ხელშეკრულებებმა ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის დარგში ხელი შეუწყო უნგრეთის საზოგადოების ძველი და ახალი პრობლემების წარმატებით გადაჭრას.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურების შედეგად მთელ მსოფლიოში განმტკიცდნენ დემოკრატიული და პროგრესული ძალები. ჩვენ გამარჯვების თავკერ შედეგად მიგვაჩნია ის, რომ უნგრეთი და მისი მეზობელი ქვეყნები ერთდროულად დადგნენ რევოლუციური გარდაქმნების, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ოცდაათი წლის წინათ უნგრეხულ მიწას — ავსტრიასთან საშუალოდ განვითარებულ ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან განვითარებული სახელმწიფოების დონეზე. 1938 წელთან შედარებით ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო სამრეწველო წარმოება ომამდელ პერიოდთან შედარებით — ათჯერ.

რევოლუციური ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც. პარტიის მიერ გაწეული ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობის შედეგად მშრომელი გლეხობა მეურნეობის წარმოების სოციალისტურ გზას დაადგა. ომამდელ პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოება 60 პროცენტით გაიზარდა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა. ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ სოციალისტური მშენებლობის მუდმივი თანმიმდევრული ადამიანთა ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს მუშათა და საზოგადოების სხვა ფენების, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებისა და ინვალიდ-პენსიონერების მდგომარეობის გაუმჯობესებას. უკანასკნელ წლებში ამ დარგში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად კოოპერირებული გლეხობის შემოსავლის დონემ მრეწველობის მუშაოა ხელფასის დონეს მიაღწია, ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს მოწმობენ აგრეთვე სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა, უფასო სამედიცინო მომსახურება, საბავშვო დაწესებულებათა, დასასვენებელი სახლების და ტურისტული ბაზების ფართო ქსელი. ბინების მშენებლობის 15-წლიანი გეგმით, რომელიც წლეულს მთავრდება, ათგზის დაეგეგმილი მილიონი ბინა. ამ გეგმას ჩვენ რამდენიმე ათეული ათასი ბინით გადავაჭარბებთ.

დიდი ძვრები მოხდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში. მოვსპეთ ყოფილი გაბატონებული კლასის მონოპოლია განათლების დარგში. მიგაღწიეთ იმას, რომ ყველა ბავშვი რვაწლიან განათლებას იღებს და სულ უფრო მეტი მოზარი ეუფლება საშუალო განათლებას. უმაღლეს სასწავლებლებში შემსწავლელთა 40 პროცენტი ფიზიკური შრომის მუშაკთა შვილები არიან, ხოლო მთელი სტუდენტების ნახევარი ქალიშვილია, ფართო მუშაობაა გაშლილი ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების 30-ე წლისთავი თითქმის დაემთხვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობას. ყრილობამ შეაჯამა გაწეული დიდი მუშაობის შედეგები და მიიღო პარტიის ახალი საპროგრამო განცხადება. იგი მიზნად ისახავს სოციალიზმის მშენებლობას დამთავრებას და დიდი ხანიჯის გადადგმას კომუნიზმის გზაზე.

გასული სამი ათეული წლის მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ როგორც წარსულში, ისე მომავალში წარმატებების მიღწევა მეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური ერთიანობით. „ჩვენს ხალხებს ერთიანებს საერთო ინტერესები, რევოლუციური იდეები და მიზნები: მარქსიზმ-ლენინიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა, აღნიშნა XI ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ი. კადარმა — ...ძმაყოფილების გრძნობით ყრილობას შეუძლია აღნიშნოს, რომ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა უღრუბლოა, ძმური კავშირი ჩვენს პარტიებსა და ხალხებს შორის ურღვევია“.

მსოფლიოში შექმნილი ახალი ვითარება, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარმატებანი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია განუხრელად მოითხოვს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. „ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მსოფლიოში კიდევ ბევრია ძალები, ხაზი გაუსვა თავის სიტყვაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — რომლებსაც როგორც იტყვიან, ძილშიც ელანდებათ, როგორ შეასუსტონ ჩვენი ერთიანობა. მაგრამ ყველა მათი ცდა ამ მიმართულებით მარცხდება. ჩვენი თანამეგობრობა წლითიწლობით მტკიცდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს ყველაზე ჰუმანური, ყველაზე სამართლიანი იდეები“.

ჩვენი ძალების დარაზმულობა, ახალ შესაძლებლობათა გამოყენება აჩქარებს სოციალისტურ მშენებლობას, განამტკიცებს სოციალისტური ქვეყნების ავტორიტეტს, ამრავლებს მშვიდობის ძალებს.

შანდორ იაკაბი,
უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

უნგრეთი დღეს

ციფრები

ფაქტები

სახალხო ხელისუფლების წლებში უნგრეთი აგრარული ქვეყნიდან მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. მისმა სამრეწველო წარმოებამ 10-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. სწრაფი ტემპით ვითარდება ქიმიური, ელექტროტექნიკური და მანქანათმშენებლობის დარგები. მანქანათმშენებლობა, მაგალითად, მთელი სამრეწველო პროდუქციის მეოთხედს იძლევა.

●

უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 37,5 ცენტნერი ხორბალი, ე. ი. 2,5-ჯერ მეტი ომამდელ ფუძეთან შედარებით. სიმინდის მოსავლიანობა ამავე პერიოდში 18-დან 41 ცენტნერამდე გაიზარდა, ხოლო შაქრის ბარხლისა — 200-დან 350 ცენტნერამდე ჰექტარზე.

●

1950 წლიდან 1974 წლამდე ორჯერ გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი.

●

ზოგადსაგანმანათლებელ სკოლებში, გიმნაზიებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ორ მილიონამდე კაცი სწავლობს, ე. ი. უნგრეთის ყოველი მეხუთე მოქალაქე.

●

უნგრეთის კინოსტუდიები ყოველწლიურად 20-ზე მეტ მხატვრულ ფილმს უშვებენ. 3.800 კინოთეატრს ყოველწლიურად 75 მილიონი მაყურებელი ესწრება.

●

სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით უნგრეთში იგება 85 სამრეწველო და სხვა ობიექტი. მათგან 60 უკვე საექსპლოატაციოდ არის გადაცემული.

საბრძოლო მეგობრობის ფურცლები

ძნელბედობის ქამს...

ოცი დღეც არ აკლდა ომის დამთავრებას, პიოველი ცალკე მოტომსროლელი ბატალიონის მეთაური, კაპიტანი მალვა კონსტანტინეს-ძე შელაა მძიმედ რომ დაიჭრა. ორდინარეცმა, სტაროშოლელმა ალექსანდრე შარაპოვმა მეთაური ზურგზე აიკიდა და ჯაპანწყვეტით წამოვიდა. წინ, მთელ კილომეტრზე დანაღმული ველი იწვა. ერთი მცდარი ნაბიჯი და ორივე აფეთქდებოდა. ომპოჯეჯარისკაცმა, კაპიტანი სამშვიდობოზე გამოიყვანა.

ომი ორი თვის დამთავრებული იყო, თბილისში ჰოსპიტალის სარეცელზე მწოლარე, ფეხდაკარგულ შალვა შელიას რომ უთხრეს, წითელი დროშის ორდენით ხარ დაჯილდოებულიო.

პირველი საბრძოლო ჯილდო — სამამული ომის მეორე ხარისხის ორდენი მან ჯერ კიდევ უკრაინის მიწაწყლის განთავისუფლებისათვის დაიმსახურა, მეორე — წითელი ვარსკვლავის ორდენი ტრანსილვანიის მთებში მამაცური ბრძოლისათვის დაანბინეს მკერდზე, მესამე — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი უნგრეთის ქალაქ ბიჩეკში სვასტიკიანი მძიმე ტანკის დაწვისათვის მისცეს და, აი, მეოთხე ორდენმა შვიდი თვის შემდეგ მოაგნო.

ამ ჯილდომ კვლავ გაახსენა ის დღე.

მაშინ უმცროსი ლეიტენანტი შალვა შელია ბატალიონის მეთაურის მოადგილე იყო. ჩვენი ჯარები ბუდაპეშტში მოყალთაღებული ვერმანული ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1944 წლის 27 დეკემბერს დილით პირველი მოტომსროლელი ბატალიონი ქ. დოროგს მიუახლოვდა. მტერი გააფთრებით იბრძოდა, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენი ჯარების წინსვლას. გერმანელთა არტილერია გამუდმებით აყფდა, სვასტიკიანი თვითმფრინავები გზებს დასტრიალებდნენ თავზე და ბომბებს აყრიდნენ.

ბატალიონმა ‘ბრძანება მიიღო არ შეეჩერებინა ფერაში, საღამოზე აღარ ქ. დოროგი და გეზი ქ. ესტერგომისკენ დაეჭირა, სადაც მეორე და მესამე უკრაინის ფრონტები უნდა შეერთებულიყვნენ და შეეკრათ ალყა ბუდაპეშტის გარშემო. შუადღისას ბატალიონში მოიყვანეს უცნობი ოფიცალეკი, რომელიც უფროს მეთაურს ეძებდა. იგი შ. შელიას წარუდგინეს.

— მე ვარ პარტიზანი ვოინიჩი! — თავი გაცნო მან, — დოროგის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყეში დამალულია ორმოცამდე გერმანელთა ტანკი. თქვენ რომ ქალაქს გაათავისუფლებთ და ესტერგომისკენ წახვალთ, ისინი ამპირებენ თქვენს ზურგში მოქცევას, მოულოდნელად იერიშის მოტანას და თქვენს მოლიანად განადგურებას. ჩემს სიმართლეში ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, მეც წამოგყვებით ამ ტანკების გასანადგურებლად.

შ. შელიამ ეს ამბავი ბატალიონის მეთაურს მოახსენა, ოცდაათიოდე კაცი სთხოვა, შეაიარაღა ისინი ტანკსაწინააღმდეგო თოფებით, ხელყუმბარებით და მტრის ზრახვის ჩასაფუშავად გაეშურა. პატარა სოფელ კლამპრემ-პუსტოს მიადგა, რომლის ეიწრო ქუჩებშიც იყო მოსალოდნელი ტყიდან სვასტიკიანი ტანკების გამოვლა დოროგ-ესტერგომის გზისაკენ. მებრძოლები რამდენიმე რაზმად დაპყო და ქუჩის ორივე მხარეს ჩაასაფრა. ერთ რაზმს უმცროსი ლეიტენანტი მოთა ადამია მეთაურობდა (ამ ქამად მასწავლებელია წულუკიძის რაიონში), მეორეს — უმცროსი ლეიტენანტი გულრიფშელი გლადიძერ კვარაცხელია, მესამეს — აზერბაიჯანელი ზიმდეგი მიხეილ შუმრანოვი, მეოთხეს — რუსი ლეიტენანტი ჩებაკოვი. შელიამ თავის რაზმში დაიტოვა პარტიზანი ვოინიჩი და ორდინარეცი ა. შარაპოვი. მალე ამ რაზმებს იმ სოფლის მცხოვრებლებიც შემოუერთდნენ: გერმანელებთან ბრძოლაში ჩვენც მოგეხმარებითო.

მეთაურმა ყველა გააფრთხილა: ვიდრე ტანკები სოფლის ვიწრო ქუჩაში არ შემოვლენ და მე ინებეთ, საფარიდან ცეცხლი არავინ ამოჰყოსო.

ორიოდე საათში გაისმა ტანკების გუგუნი. სოფელში ჯერ სამოვიანი მოტოციკლეტი შემორახრახდა. შიგ ჯდომმა სამმა ფაშისტმა იქაურობა დაზვერა, ეტყობა, დარწმუნდა, აქ მტერი არსადაო და თავისიანებს ანიშნეს, გზა თავისუფალიაო. ტანკები სოფელში ერთმანეთის მიყოლებით შემორახრახდნენ. როდესაც ქუჩა გაივსო, შ. შელიამ მეწინავეს ესროლა ხელყუმბარების კონა. და რკინის ურჩხული ცეცხლში გაეხვია. სხვა რაზმებმაც უმალვე სტყორცნეს ხელყუმბარები და ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლიც დაუშინეს. მალე ცეცხლში გაეხვია სოფელში შემოსული ბოლო ურჩხულიც. ცეცხლმა წინ და უკან გზა გადაუჭრა სხვა ტანკებსაც. ისინი ჩიხში მოექცნენ. ვინც სოფელში შემოსვლა ვერ მოასწრო, უკან მოპკურცხლა ალმოდებული ტანკებიდან ბღავიოლით ამოცვენილი ფაშისტები ჩვენმა მებრძოლებმა ავტომატებით მოელეს. ყველფერი ამას ოცი-ოდე წუთიც არ დასჭირებია.

სვასტიკიანი ტანკის ცხრა ჯიაკოკონმა გაანათა უნგრული ღამე.

ყველა რაზმმა სასახელოდ იბრძოლა. სხვა რაზმელებთან ერთად შოთა ადამია და ვლადიმერ კვარაცხელია ორდენებით დაჯილდოვეს.

მალე ბატალიონის მეთაური ავად გახდა და იგი შ. შელიამ შეცვალა, შემდეგ მისი ბატალიონი შეუპოვრად იბრძოდა ბალატონის ტბის რაიონში, უნგრეთის მიწაწყლის გერმანელი ფაშისტებისაგან გაწმენდის დამთავრებისთანავე კი ავსტრიაში შეიჭრა და... ცხრა მაისს ჰოსპიტლის სარეცელზე შეხვდა. მაგრამ უბედურებას ვაჟკაცმა ქედი როდი მოუხარა...

ოცდამეათედ ჰკვავის გაზაფხული თავისუფალ უნგრეთში, იმ ძნელბედობის ქამს ამ გაზაფხულის მოსაყვანად ქართველი ვაჟკაცებიც იბრძოდნენ.

აკაკი გეწაძე.

სურათზე: შალვა შელია და მისი ბატალიონის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი პავლე როსლიკი. სურათი გადაღებულია ომის დროს.

ფოტომატიანე მოგვითხრობს

ფერფლიდან აღმდგარი...

ახლა, როცა ამ სურათებს ვუყურებ, მაგონდება მათი გადაღების დღეები, ახლადგანთავისუფლებული ბუდაპეშტი. შემაძრწუნებელი იყო ბუდას მაღლობზე განლაგებულ მეთევზეთა ბასტიონიდან ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ცქერა — აღარ ჩანდა ბუდაპეშტის თორმეტი კოპწია ხიდი, ქალაქი ფერფლად იყო ქცეული. ეს საშინელება გერმანელმა ფაშისტებმა მოიმოქმედეს მაშინ, როცა ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და არავითარი საომარი აუცილებლობა ამას არ მოითხოვდა. გაბოროტებულმა მტერმა უარი თქვა კაპიტულაციაზე და თავისი არაადამიანური საქციელით ერთხელ კიდევ დაამტკიცა ბარბაროსობა, მხეცობა და ველურობა.

ბუდაპეშტის ქუჩებში ნამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს მოწმობს სურათი, როცა თვითმფრინავებს უშუალო იერიშები მიჰქონდათ ცალკეულ სახლებზეც კი — ფოტოზე (მარცხნივ) ნათლად მოჩანს სახლის სახურავში გაჭედილი თვითმფრინავის ბოლო;

უნგრელმა ხალხმა ფენიქსისებრ ფარფლიდან აღადგინა თავისი დედაქალაქი, მათ შორის მთელი თავისი სიდიადით და მშვენიერებით — ერუებტის ხიდი, რომლის მხოლოდ ერთადერთი ბურჯი იყო დარჩენილი. (მარჯვენა სურათზე, ცენტრში იგივე ხიდი დღეს). ამ ორი სურათის გადადების შორის ზუსტად ოცდაათი წელი გავიდა.

ა. დოლიძე,
ინჟინერი.

ავტორის ფოტოები.







მსოფლიო დღის

დაძაბულობის შემსუბუქება — შეუქცევადი პროცესი

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტის სახით გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის ძუდმივი წარმომადგენლის ყრილი გეორგიევი მდივანი სახელზე, რომელიც ეოყვახილია საბჭოთა მთავრობის მოსაზრეები განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხებზე.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია წერილში, თანამიმდევრულად იღვწის მსოფლიო კონფერენციის უსაფაფესად ოოწვევისათვის, მიიჩნია რა, რომ მისი მოწყობა არსებითი წვლილი იქნება განიარაღების პრობლემის გადაჭრაში. დადებითი ძვრები, რომლებიც ამჟამად ხდება საერთაშორისო ვითარებაში, სულ უფრო აუცილებელსა ხდის კონფერენციის მოწვევას. განიარაღების დარგში განხორციელებული ახალი ფართო მრავალმხრივი ღონისძიებები განამტკიცებს ხელსაყრელ ტენდენციას, რომელიც უკანასკნელ წლეებში დაისახა მთელი რიგი დიდნინიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებების დადების შედეგად, რომლებიც ზღუდავს ან სპობს გარკვეული სახეობის შეიარაღებას და აძცირებს ატომური ომის საფრთხეს.

ეს ამოცანა მით უფრო აქტუალურია, ხაზგასმულია დოკუმენტში, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა გამალებული შეიარაღების შეჩერება, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიამ საბჭოთა კავშირის ინიციატივით მიიღო რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად გამოყენების შესახებ. გამალებული შეიარაღება ზიანს აყენებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის იმათ, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებენ მასში. მაშასადამე, განიარაღება უკლებლივ ყველა ქვეყანას ეხება.

წერილში აღნიშნულია, რომ მსოფლიო კონფერენცია უნდა იყოს ის ფორუმი, რომელზეც მსოფლიოს ყველა ქვეყანას თანასწორუფლებიან საფუძველზე შეეძლება ჩამოაყალიბოს და შეადაროს განიარაღების საკითხებზე თავიანი მოსაზრებები. კონფერენციის მუშაობა, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებს უფრო მიზანმიმართულ საქმიანობას განიარაღების დარგში ღონისძიებების შესათანხმებლად. იგი დაგვეხმარებოდა განგვესაზღვრა განიარაღების პრობლემის ყველაზე აქტუალური ასპექტები, რომლებიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს, დაგვესახა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის პრაქტიკული გზები და საშუალებები.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ კონფერენციამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას — განიარაღების შესახებ ყველა მოლაპარაკების მთავარ და საბოლოო მიზანს. საჭიროა აგრეთვე განვიხილოთ, თუ რა გზით უზრუნველვყოთ პროგრესი გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური განიარაღების, მასობრივი მოსპობის სხვა სავარაუდო იარაღის აკრძალვისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საქმეში.

კონფერენციაზე შეგვიძლია განვიხილოთ — და საბჭოთა კავშირი მზად არის ამისათვის — ყოველი კონკრეტული საკითხი, რომლის დადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობს გამალებული შეიარაღების შენელებას, არსებული შეიარაღების გაზრდისა და ახალი ტიპის იარაღის შემუშავებაში სახელმწიფოების თავშეკავებას, იმას, რომ მათ უარი თქვან მოსპობის საშუალებათა გაუმჯობესებისადმი მეცნიერული მიღწევების გამოყენებაზე.

წერილში დადასტურებულია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფოსთან კონფერენციის მომზადებისა და უსწრაფესად მოწვევის ამოცანების წარმატებით გადაჭრის გზების გამონახვაში. როგორც აღნიშნული. წერილში, კონფერენციის მოწყობა ხელს შეუწყობს, რომ განმტკიცდეს და გაღრმავდეს მსოფლიოში მიმდინარე დაძაბულობის შეზღუდვა, გახდეს ეგი შეუქცევადი პროცესი და მასთან ერთად შეხელდეს სამხედრო დარგში არსებული დაძაბულობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციის შესახებ

რეაქციული პანონპროექტი

გავარიის მხარის მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილება

ბონი, 3 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის რეაქცია აჩაღეს კამპანიას, რომ პარლამენტის ორივე პალატას — ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს — სასწრაფოდ მიაღებინოს კანონპროექტი „რადიკალური ელემენტების“ შესახებ, რომლის ძირითადი შინაარსი ის არის, რომ გერმანელთა კომპარტიის წევრებს ეკრძალოთ პოსტების დაკავება სახელმწიფო დაწესებულებებში, პედაგოგიური მუშაობა უნივერსიტეტებსა და სკოლებში, მუშაობა სასამართლოებში, ადვოკატურაში და სხვ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბავარიის მხარის მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილება. სადაც ხელისუფლებას საათვეში უდგას შტრაუსის ულტრამემარჯვენე პარტია — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. გადაწყვეტილება მოითხოვს დაჩქარონ პარლამენტში „რადიკალური ელემენტების“ კანონპროექტის დამტკიცება.

ამბები • ფაქტები

საკდესი და ეცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

ვიეტნამელ სამხრეთ ვიეტნამში

პატრიოტები უტევენ

ჟენევი, 2 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა ალბანეთის ტერიტორიიდან მოსასლეობის აქტიური მხარდაჭერით მოსკოს საინფორმაციო ჯარების ფინანსდებულ ბანდიტებს ეკრეტი ფენტარული კლანტოზე და ეთორმეტე პარალელის ჩრდილოეთით ანანეურს ბასრეზეს და დამთავრებულ სამხედრო ვიეტნამის კიდევ სამი პროვინციის განთავისუფლება. ამბავარად დღეს სამეფოს ეკმა ამ განთავისუფლებულია 15 პროვინცია.

ახლა წარმოებს ბრძოლები დალატში საიგონის ჯარების დიდი ბაზის ასაღებად. დალატის აღებით მთლიანად განთავისუფლდება კიდევ ერთი პროვინცია ლამდონგი.

დღეს შუადღისას აჯანყებამ იფეთქა ქალაქ კამრანში — დიდ სამხედრო-საზღვაო ბაზაში. იგი მდებარეობს 40 კილომეტრზე სამხრეთით ქალაქ ნიაჩანგიდან, რომელიც გუშინ გათავისუფლეს სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა. საიგონის ნაწილებმა, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ რადაც უნდა დაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ეს ბაზა, სასწრაფოდ დაიხიეს უკან ქალაქიდან ჯერ კიდევ სახალხო შეიარაღებული ძალების მოსვლამდე.

ნიაჩანგისა და კამრანის ჩაბარების შემდეგ პანიკა მოედო მათ სამხრეთით მდებარე ქალაქებსაც. დაიწყო სამხედრო შტაბების სასწრაფო ევაკუაცია და სამოქალაქო მოხელეების გაქცევა კიდევ ორი პროვინციული ცენტრიდან — ფანრანგიდან (ნინთხუანის პროვინცია) და ფანთხიეტიდან (ბინთხუანის პროვინცია) ქალაქი ფანთხიეტი მდებარეობს 160 კილომეტრზე ხაიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). ამერიკის პრესის ცნობით პატრიოტებმა ხელთ იგდეს მილიარდი დოლარის ამერიკული სამხედრო საჭურველი, რომელიც დატოვა საიგონის ჯარებმა, მათ შორის ბევრი ტანკი, 200-ზე მეტი მძიმე ქვემეხი, 6.500 სატვირთო ავტომანქანა.

რაც უფრო იხევენ უკან სამხრეთისაკენ საიგონის ჯარები, მით უფრო ძლიერდება შეშფოთება და კინკლაობა საიგონის მმართველ წრეებში. ძირმომალი რეჟიმის ლიდერები ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ.

გენერლების ჯგუფმა თხიეუს მისცა ორი დღე იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება „პრეზიდენტის“ პოსტიდან გადადგომის შესახებ. გადადგა „პრემიერ-მინისტრი“ და „თავდაცვის მინისტრი“ გენერალი ჩან თხიენ ქხიემი.

ვაშინგტონი, 2 აპრილი. (საკდესი). პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოკინავადან სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებისაკენ გადაკაფავთ 700-მდე საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, ვითომდა იმისათვის, რომ „უზრუნველყონ წესრიგი“ გაქცეული საიგონის არმიის ევაკუაციის დროს. ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამხრეთ ვიეტნამში თვითმფრინავებით მიაქვთ ჯაუბიტერი, ქვემეხები, რადიოლანადგარები და სხვა სამხედრო საჭურველი.

შეერთებული შტატები სხვა სასწრაფო ღონისძიებებსაც მიმართავს საიგონის რეჟიმის დასახმარებლად.

ინდოეთი

ტელეტაიპის ლენტიდან

3 აპრილი

ვაშინგტონი, ქალაქ ბალტიმორის 200 სამშენებლო ობიექტზე ყველა სამუშაო შეწყდა. 9.000-მდე მუშამ, რომლებიც წარმოადგენენ 12 ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციას, გაფიცვა გამოაცხადა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მეწარმეებმა უარი განაცხადეს გადაეხინჯათ მშენებელთა შრომითი შეთანხმების პირობები და გაედიდებინათ შრომის ანაზღაურება.

ჰავანა. აქ ხელი მოაწერეს კუბისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1975 წლის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ლაბოხი. ნიგერიის დედაქალაქში მიმდინარეობს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა კინოფილმების ერთთვიური.

ნიგერიელ მაყურებელთა შორის განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობენ კინოფილმები „მთავარი დარტყმის მიმართულება“, „ჯარისკაცის მამა“, „განთიადი კი აქ შვიდია“.

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქში 20,7 პუნქტით გაიზარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1974-1975 საფინანსო წელს, რომელიც 31 მარტს დამთავრდა. ეს ფასების ინდექსის ყველაზე დიდი მომატებაა 1955 წლიდან.

მეგობრობის პარკი

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის დედაქალაქის — კერბანინის მუშათა რაიონში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პარკი.

პარკის ცენტრში აღმართულია მონუმენტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. ამ სკულპტურული ანსამბლის დაპროექტებაში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მოქანდაკეებმა ე. ვ. ვუჩეტიჩმა და ჟ. კიმფალუდი-შტრობლიამ. მთელი კომპოზიცია შეასრულა უნგრელმა მოქანდაკემ ბ. ბარნამ.

პარკის გახსნის გამო გაიმართა მიტინგი. მიტინგზე იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვის მეთაურობით და სხვა საბჭოთა დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ ზეიმზე უნგრეთში.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ არმიის გენერალმა ნ. ვ. ოგარკოვმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ობრე კატონს გადასცა 62-ე გვარდიის მსროლელი დივიზიის დროშა. ეს დივიზია მონაწილეობდა ფაშისტებისაგან უნგრეთის დედაქალაქის განთავისუფლებაში.

გვირგვინებით შეამკეს პარკში გახსნილი უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მონუმენტი.

მაოისტთა პროვოკაციული გამოხდომები

ჩინეთის ქალაქ მანჯურიაში წაბილწეს საბჭოთა მეომრების ძეგლი, რომლებიც ასრულებდნენ ჩინეთის განთავისუფლების თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას და დაიღუპნენ იაპონელთა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. მოხუცებნო მაოისტებმა ეს აქტები ჩაიდინეს დღისით — მზისით ქალაქის მცხოვრებთა და საბჭოთა წარმომადგენლების თვალწინ, რომლებიც გვირგვინით ამკობდნენ ძეგლს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი კანონიერად აღშფოთდნენ პროვოკატორთა მტრული, ბინძური გამოხდომების გამო და ჩინეთის ადგილობრივ ხელისუფალთა ყურადღება მიაქციეს მას. მაგრამ ამის შემდეგაც გრძელდებოდა აღმაშფოთებელი გამოხდომები.

საბჭოთა მეომრების ხსოვნის შებღალვასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პროტესტი განუცხადა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთ

საქართველოს ფეხ-ბურთი

მწერალი და მკითხველი

შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო

რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საქართველოს მწერალთა კავშირთან შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო, რომლის დირექტორად დაინიშნა პოეტი ვახტანგ გორგასელი. ბიუროს დანიშნულებისა და მომავალი მუშაობის შესახებ აი რა უთხრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ვ. გორგასელმა:

—როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ბიუროს დანიშნულებაა ფართოდ გაშალოს მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა, კიდევ უფრო დაუახლოოს მწერალი მკითხველ საზოგადოებრიობასთან. იგი სისტემატურად და ორგანიზებულად მოაწყობს მწერლების შეხვედრებს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, ახალშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, სამხედრო ნაწილებში. მოეწყობა საუკეთესო წიგნების საჯარო კითხვა-განხილვა, რომელნიც მწერლებთან და კრიტიკოსებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო ითანამშრომლებს ბიურო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობებს, აპრილის პირველ დღეებში ასეთი სიცხეები ადრეც ბევრჯერ ყოფილა. მაგალითად, 1917, 1941, 1947, 1950, 1952, 1962, 1964, 1970, 1972 წლებში.

კერძოდ, ამ პერიოდში ასეთი დათბობის მიზეზი ის არის, რომ აფრიკის ტერიტორიიდან თბილი ჰაერის მასებმა მძლავრად იწყო გავიცელება ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. ამიერკავკასია მოექცა ციკლონის თბილ სექტორში, რომლისთვისაც ფველაზე მაღალი ტემპერატურაა დამახასიათებელი.

დღეს საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 12-18 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 23-28, მთაში — 20-25 გრადუსი სითბო იქნება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 19-24, მთაში — 14-19 გრადუსი სითბო, თბილისში — უნალექო ამინდი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი სითბო.

მომავალ ორ დღეს მთელ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში — 23-28, მთაში — 18-23 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 19-24, მთაში — 13-18 გრადუსი სითბო.

შემოსვლა

მართლმსაჯულებას ვერ დაემალა

ზ ი თ ი ნ ე ლ ფ ყ ა ო ს ს ს ქუჩის შემოვლის დროს ქალაქ თბილისის 26 კომისრის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა გ. გაბუნიამ, ო. გალოიანმა, ი. გალუსტოვმა და გ. გოგოლაძემ გამელლა შორის შენიშნეს კაცი, რომლის სახეც ეცნოთ. ნავარჯიშევმა გონებამ უკარნახა: მისი სურათი სულ ახლახან ჰქონდათ ნახული — ეს ის კაცი იყო, ბრალი რომ ედებოდა მკვლელობის მცდელობაში, ძარცვა-რბევაში, და მართლმსაჯულებას ემალებოდა.

ოპერატიულმა მუშაკებმა ეპვმიტანილი დაიკავეს, მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც დაადგინეს მისი პიროვნება. მალე დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარსდგება. (საქინფორმი).

ანატოლი კარპოვი — მსოფლიოს ჩემპიონი

ამსტერდამი, 3 აპრილი. (საკუდესი). ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე-ს) პრეზიდენტმა მაკს ეივემ დღეს საბჭოთა დიდოსტატი ანატოლი კარპოვი მსოფლიოს ახალ ჩემპიონად გამოაცხადა.

როგორც მ. ეივემ თქვა, მისი აზრით, რ. ფიშერი არ არის მზად იმისათვის, რომ დაიცვას მსოფლიოს ჩემპიონის წოდება პრეტენდენტთან დიდოსტატ ანატოლი კარპოვთან მატჩში 1975 წლის მსოფლიოს პირველობაზე მატჩის გამართვის რეგლამენტის შესაბამისად. მან უპასუხოდ დატოვა ფიდე-ს ხელმძღვანელობის არაერთი მიმართვა.

მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონმა ანატოლი ევგენის-ძე კარპოვმა ჭადრაკის თამაში შვიდი წლისამ ისწავლა და ძალიან მალე გამოაკვლინა დიდი ნიჭი. 1966 წელს მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება, 1969 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის და საერთაშორისო ოსტატი, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ — საერთაშორისო დიდოსტატი.

კარპოვი, რომელიც 1951 წლის 23 მაისს დაიბადა ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატოუსტში, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი და სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

კარპოვმა გაიმარჯვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში მოსკოვში (1971 წელს), ჰასტინგსში (1971-1972), სან-ანტონიოში (1972), მადრიდში (1973), ამ ტურნირებში მან უკან მოიტოვა მსოფლიოს ისეთი უძლიერესი დიდოსტატები, როგორიც არიან უოდ ანდერსონი (შვეიცია), რობერტ ბირნი (ამერიკის შეერთებული შტატები), სვეტოზარ გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვლასტიმილ ჰორტა (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ბენტ ლარსენი (დანია), ენრიკე მეკინგი (ბრაზილია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ვოლფგანგ ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), თანამემამულენი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტიგრან პეტროსიანი, ვასილ სმისლოვი, ბორის სპასკი, მიხეილ ტალი.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გამოდიოდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც გაიმარჯვა მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადებზე იუგოსლავიაში (1972), საფრანგეთში (1974) და ევროპის გუნდურ ჩემპიონატში (1973). მეთაურობდა რა სსრ კავშირის გუნდს მე-11 ოლიმპიადაზე ნიცაში 1974 წელს, მან მიაღწია ამ შეჯიბრებათა ისტორიაში საუკეთესო შედეგს პირველ დაფაზე — 12 ქულა 14-დან.

მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეჯიბრებებში კარპოვმა 1973 წელს პირველი-მეორე ადგილი გაიყო საზონთაშორისო ტურნირში. შემდეგ 1974 წელს პრეტენდენტთა მატჩებში დაამარცხა დიდოსტატი ლევ პოლუგაევსკი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სასპკი და სსრ კავშირის ოთხჯზის ჩემპიონი ვიქტორ კორჩნოი. 60 პარტიიდან კარპოვმა ამ შეჯიბრებებში მოიგო 17, წააგო მხოლოდ სამი და მოიპოვა უფლება მსოფლიოს ჩემპიონობის წოდებას შესცილებოდა ამერიკელ დიდოსტატ ფიშერს მატჩში, რომელიც 1975 წლის 1 ივნისს უნდა დაწყებულიყო.

პირველად ჭადრაკის ისტორიაში ამ მატჩის წესები ორჯერ შეცვალა ფიდე-მ ფიშერის მოთხოვნით უკვე შეჯიბრებათა ერთიან საბწლიან ციკლის მსვლელობაში. 1974 წელს ფიდე-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა 10 და არა ექვსი პარტიის მოგება, როგორც ეს წინათ იყო განსაზღვრული, პარტიების საერთო რიცხვი, რომლებიც შეიძლებოდა ეთამაშათ, 30-დან 36-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა ფიშერმა მაინც განაცხადა, რომ უარს ამბობს ითამაშოს მატჩის ასეთი პირობებით და თმობს ჩემპიონის ტიტულს. მომდინარე წლის მარტში ფიდე-ს რიგგაგრეშე კონგრესმა დაამტკიცა ფიშერის კიდევ ერთი სურვილი — გააუქმა შესვედრათა ლიმიტი.

ა. კარპოვმა განაცხადა, რომ მზად არის ითამაშოს მატჩი მანილაში ამ წესებითაც, ამასთან მძიმე კლიმატურ პირობებში, რითაც გამოამეღავნა გულწრფელი სურვილი შესვედროდა ფიშერს ჭადრაკის დაფასთან.

მაგრამ ამერიკელმა დიდოსტატმა უგულებელყო ფიდე-ს წესები და გადაწყვეტილება, არ დაადასტურა დაწესებული ვადისათვის, რომ თანახმაა ითამაშოს მატჩი და საერთოდ საჭიროდ არ მიიჩნია რაიმე პასუხის გაცემა, რითაც უარი თქვა დაეცვა თავისი წოდება პატიოსან სპორტულ ორთაბრძოლაში, ის ფაქტი, რომ 1972 წლის სექტემბრიდან ფიშერი არ მონაწილეობდა შეჯიბრებებში და არ უთამაშია არც ერთი სატურნირო ან სამატჩო პარტია, საფუძველს აძლევს სპორტულ საზოგადოებრიობას დასაკვნას, რომ იგი საერთოდ არ არის მზად ბრძოლისათვის და მთელი მისი მოქმედების მიზანია ჩაეფუშა შეჯიბრება, რომელსაც ინტერესით მოელოდნენ ჭადრაკის მოყვარულნი მთელ მსოფლიოში. ასეთი მოქმედება არ უკადრება უმაღლესი საჭადრაკო ტიტულის მფლობელს. მსოფლიოს ახალ ჩემპიონად კარპოვის გამოცხადება კანონზომიერი შედეგია მისი შესანიშნავი სპორტული მიღწევებისა, რისთვისაც იგი ორჯერ — 1973-1974 წლებში აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკედ და დაჯილდოვეს „ოქროს ოსკარის" პრიზით.

ჭადრაკის მილიონობით საბჭოთა მოყვარული მხურვალედ ულოცავს ანატოლი კარპოვს და ახალ დიდ წარმატებებს უსურვებს მსოფლიოს ჩემპიონს.

ფეხბურთის ამბები

ნ ა კ რ ე ბ თ ა ავსტრიისა და უნგრეთის ფეხბურთელებმა ვენაში ფრედ — 0:0 დაამთავრეს შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის მეორე ჯგუფის შესარჩევი ტურნირის მატჩში.

სსრ კ ა ვ შ ი რ ი ს ახალგაზრდული ნაკრები გუნდი ანკარაში დამარცხდა თურქეთის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ანგარაშით 1:2 (1:1). გუნდები განმეორებით ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მოედანზე.

მ ო ს კ ო ვ ი ს ტორპედოელებმა ბუდაპეშტში ამხანაგურ მატჩში დამარცხეს „ვაშაშის" გუნდი — 2:1 (1:1).

□

რ ო გ ო რ ც ცნობილია, გუშინწინ კიევში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარაშით 3:0 დაამარცხა თურქეთის გუნდი.

ეი როგორია გუნდების მდგომარეობა გათამაშების მეექვსე ჯგუფში:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ირლანდია	2	1	1	0	4-1	3
თურქეთი	3	1	1	1	3-5	3
სსრ კავშირი	2	1	0	1	3-3	2
შვეიცარია	1	0	0	1	1-2	0

ლ ე ბ დ ა გაზაფხული. ამ დღეებში მტკვარზე დაინახავთ, თუ როგორ გულმოდგინედ ვარჯიშობენ ბაიდარითა და კანოეთი გაწათლების სამინისტროს თბილისის სპორტული სკოლის მოსწავლეები. **სურათზე:** მწვრთნელი ნიკოლოზ ველოვანი მეცადინეობის დროს ნორჩ სპორტსმენებთან.

Ფ. პრემსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისი ემზადება...

ПРАВДА
ТБИЛИСИ

საქართველოს მძლეოსნური კროსის ფინალის წინ

ო რ ი ო ლ ე კვირა დარჩა გაზეთ „პრავდის" მძლეოსნური კროსის ფინალამდე, ხოლო საქართველოს კროსის დასკვნით ეტაპს ორი დღე გვაშორებს. ამ კროსების მნიშვნელობა მეტად დიდია არა მარტო მასშტაბურობით, არამედ წმინდა სპორტული შედეგებითაც. როგორც ცნობილია, „პრავდის" პრიზებთან ერთად თბილისში გათამაშდება საკავშირო ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. სპორტსმენთა ეს ფორუმი ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს და ტარდება დევიზით — მზად გარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის.

„პრავდის" კროსის სიდიადე მის მასობრიობაშია, იგი ამასთანავე დიდ როლს ასრულებს მძლეოსნობის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციაში. დღეს ცოტანი როდი არიან ისეთნი სპორტსმენები, რომლებმაც სწორედ „პრავდის" კროსით დაიწყეს თავიანთი სპორტული მოგზაურობა, ასევე კი მათ საერთაშორისო მნიშვნელობის დიდ სარბიელზე ფავორიტებად თვლიან.

გუშინ „პრავდის" კროსის შტაბში საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პერტენავამ ჩვენს კორესპონდენტს აცნობა:

„პრავდის" მძლეოსნური კროსის ფინალი თბილისში დიდი სპორტული მოვლენაა. ასეთი მასშტაბის ასპარეზობა მასპინძლებს ბევრ რამეს გვავალებს და ჩვენც ვცდილობთ სანიმუშოდ ჩავატაროთ იგი.

ამჯერად აქ გვინდა ვილაპარაკოთ საქართველოს კროსზე, რომლის ფინალს 6 აპრილს ვიხილავთ თბილისის იპოდრომზე. კროსები ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში ასე ორგანიზებული და მასობრივი არასოდეს ყოფილა, როგორც წელს, „პრავდის" პრიზის გათამაშების მეოთხმეტე წელს. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ სტარტებში. კროსები ორგანიზებულად ჩატარდა თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, გორში, ქუთაისში, ბორჯომში, წალკაში და სხვაგან. მასობრივ სტარტებზე გამოვიდნენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ვეტერანებიც.

აღსანიშნავია, რომ კროსის ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელმა მუშაკებმა. მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დააწესა თანამემამულის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ნანეიშვილის პრიზი, რომელიც მომავალში ტრადიციული გახდება. ეს პრიზი განკუთვნილია მასობრიობისა და უკეთესი სპორტული შედეგებისათვის. დაწესებულია აგრეთვე საქართველოს სპორტკავშირის, სასპორტო საზოგადოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების პრიზები.

რესპუბლიკის ბევრი რაიონი და ქალაქი ჩარსდგება თავიანთი სპორტსმენებით საქართველოს კროსის ფინალში მაყურებელთა წინაშე. რაიონული გუნდები დაკომპლექტებული იქნება რვა-რვა მორბენლით, თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები — თექვსმეტ-თექვსმეტი სპორტსმენით. მათი საერთო რაოდენობა 500-ს გადააჭარბებს. ამ დიდ ასპარეზობას 100-ზე მეტი მსაჯი მოემსახურება.

საქართველოს მძლეოსნური კროსის დასკვნითი შეხვედრები „პრავდის" კროსის ფინალის წინ ჩვენი სპორტსმენებისათვის გენერალური რეპეტიცია იქნება, ამასთან იმის შემოწმებაც, თუ როგორ ვემზადებით 20 აპრილის დიდი სტარტებისათვის.

ვიწვევთ სპორტის მოყვარულებს თბილისის იპოდრომზე!

მ ო კ ლ ე დ

● **კ ა ლ ა თ ბ ვ ი რ თ ი.** ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა თავის მოედანზე განმეორებით ფინალურ მატჩში დაამარცხა სოფიის „ლევსკი-სპარტაკი" — 79:54 (38:26) და პირველად მოიპოვა ლილიან რონგეტის თასი. ეს ჯილდო ახლა თამაშდება ევროპის თასების მფლობელთა თასის მაგიერ, რომელსაც ლენინგრადელები სამჯერ ფლობდნენ და ახლა მათ განმგებლობაშია სამუდამოდ.

● **ფ ი ბ ვ ი ო ნ ე ბ ი ს ს რ ი ა ლ ი.** სვერდლოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ჭაბუკთა შორის. შესანიშნავად იასპარეზა თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ მიხეილ სიხარულიძემ („განთიადი"), რომელმაც გაიმარჯვა ერთეულებს შორის.

● **ძ ი უ-დ ო.** რიგაში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა, რომელშიც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ფ. გოსიტაშვილმა და ბ. გოგიჩაშვილმა.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

საცნობარო ცხრილი

მოგებათა 70-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1975 წლის 30 მარტს ქალაქ კუსტანაიში.

მოგება ხვდა სესხის ობლიგაციათა ოცეულებსა და ობლიგაციებს შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100328	19*)	1000	131997	1—50	40	164947	22*)	500
100460	37*)	500	132712	44*)	500	165146	14*)	500
100560	06*)	500	132729	25*)	500	166636	23*)	1000
100801	24*)	500	132767	34*)	500	168364	35*)	500
100807	09*)	500	133051	32*)	500	169245	1—50	40
101308	19*)	1000	134440	25*)	1000	169800	22*)	500
101793	32*)	500	136677	1—50	100	170181	1—50	100
101923	03*)	500	137700	32*)	500	170252	49*)	500
102046	19*)	1000	138075	28*)	500	170762	39*)	1000
102242	10*)	500	138474	08*)	500	171060	12*)	500
103735	36*)	500	138903	03*)	500	171597	06*)	1000
104424	49*)	500	139090	43*)	500	171743	24*)	1000
104962	06*)	500	139569	1—50	40	171857	16*)	500
105773	1—50	40	140622	11*)	500	171969	48*)	500
105969	29*)	500	140729	1—50	100	172070	47*)	500
106414	18*)	500	140998	45*)	500	172202	35*)	500
107705	24*)	2500	141340	1—50	40	173908	1—50	40
108157	15*)	500	141958	1—50	100	174121	13*)	500
108300	1—50	40	142056	32*)	500	175243	17*)	500
108470	22*)	500	143451	08*)	500	175961	02*)	1000
110240	02*)	500	143626	38*)	500	177026	47*)	500
111405	1—50	40	143837	1—50	100	177223	09*)	500
111727	38*)	1000	144405	1—50	40	177491	18*)	500
113166	34*)	500	145697	38*)	1000	178819	40*)	500
113294	02*)	1000	146690	1—50	40	179132	1—50	100
113364	23*)	500	147799	06*)	500	179377	21*)	500
113628	35*)	500	148434	1—50	40	179856	09*)	500
113885	13*)	500	148556	16*)	1000	180971	29*)	500
115726	28*)	1000	148727	02*)	500	181429	08*)	500
115787	1—50	40	149355	1—50	40	183448	1—50	40
115999	1—50	100	149554	18*)	500	183628	1—50	100
116011	11*)	1000	150705	38*)	500	184046	1—50	40
116431	11*)	500	150911	1—50	100	184084	1—50	40
116694	11*)	500	150961	43*)	500	184580	1—50	40
116960	01*)	500	151053	1—50	100	185287	1—50	100
117880	16*)	500	151732	14*)	500	185513	14*)	500
117997	1—50	40	152012	1—50	40	185760	1—50	40
118031	14*)	500	152323	40*)	500	186371	44*)	500
119158	04*)	500	152540	1—50	40	187136	1—50	100
119979	05*)	1000	153015	1—50	40	187739	21*)	1000
120761	1—50	40	154039	15*)	500	188015	1—50	40
121910	38*)	500	154353	42*)	500	188950	40*)	500
121937	13*)	500	154988	1—50	40	190233	27*)	2500
121986	1—50	40	155413	1—50	100	190421	36*)	500
121992	16*)	1000	155471	07*)	500	190923	36*)	500
122073	16*)	500	155605	27*)	500	191681	22*)	500
122693	1—50	100	155842	1—50	40	191949	36*)	500
122960	14*)	500	157042	27*)	2500	191976	1—50	40
122982	09*)	500	157993	02*)	5000	192218	03*)	1000
124115	30*)	500	158530	46*)	5000	193057	11*)	500
124260	1—50	40	159100	09*)	500	193255	03*)	500
124298	30*)	500	159336	03*)	500	193788	48*)	500
124846	1—50	40	160168	19*)	2500	194369	32*)	500
125815	41*)	500	160735	1—50	40	195392	04*)	500
127081	29*)	500	161471	21*)	500	195577	49*)	2500
127321	1—50	40	162039	05*)	500	196851	39*)	500
128182	28*)	500	162292	21*)	500	197061	19*)	500
128196	1—50	40	163273	1—50	40	197409	1—50	40
128380	1—50	100	163591	02*)	500	198459	03*)	500
128785	30*)	500	163702	09*)	1000	199016	07*)	500
129985	08*)	500	163958	09*)	500	199148	27*)	500
130373	05*)	500	164251	15*)	500	199418	1—50	40
131694	33*)	500	164430	1—50	40			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — კუსტანაის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. ბარანი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ა. ზაპოლოდჩიკოვა

„სპორტლოტო"

2 აპრილს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტო" და „სპორტლოტო-2"-ის მოგება ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო" — 27 (მოტოსპორტი), 6 (კალათბურთი), 22 (ცეგურები), 45 (ფეხბურთი), 20 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 33 (რეგბი). (

„სპორტლოტო-2" — 24 (თხილამურები), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 20 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 42 (ძალოსნობა), 1 (ავიასპორტი), 29 (საპარაშუტო სპორტი).

ინსტიტუტი აცხადებს

რომ 1975 წლის მისაღებ გამოცდებზე ოქროს, (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სახსწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ

არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელნი — ხატვაში; საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე — ფიზიკაში (ზეპირი); ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმიაში (ზეპირი) ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე შემსვლელები — მათემატიკაში (ზეპირი).

გამოცდას ერთ საგანში:

რექტორატი



მომხმარებელთა საყურადღებოდ!

იყიდება — ფოთლიანს გარეშე — მაბნიტური ლენტი ტიპი 3-4402-6 ლავსანის ფუძით. ლენტი უზრუნველყოფს ბგერის ჩაწერისა და ადდგენის მაღალ ხარისხს. აქვს მაღალი სიმტკიცე გაგლეჯაზე და მცირე დეფორმაცია ხანგრძლივი ექსპლოატაციისას. **იყენებენ ჩაწერისათვის ყველა სამამულო და უცხოურ საყოფაცხოვრებო მაგნიტოფონებზე. ლენტს უშვებენ 150, 270, 375, 525 მ. ზომისას, 6,25 მმ სიგანეზას.**

მიმართეთ: 152140, ბაოსლავლის ოლქი, ქ. პეტროპავლოვსკ-ზალესკი, საბჭოს ქ. 1.

ტელეფონები: 6-01, 6-02 დამატ. 5-48 ან 5-52.

ვ ი რ ვ ე ლ ი პ რ ო გ რ ა მ ი თ

□ 7 ა პ რ ი ლ ი

15.00 — ფერადი ტელევიზია — საინფორმაციო პროგრამა. საუბილეო გამოფენის გახსნა „განთავისუფლებული უნგრეთი — 1945-1975 წ.წ". (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — სატელევიზიო ფილმი „სოფლის საბჭოს დეპუტატი", 16.10 — „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.40 — კინონარკვევი, 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ქალის საერთაშორისო წელი. კინონარკვევი „დედის ბილიკი", 18.15 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.35 — მოსწავლეთათვის — „ფრონტზე შობილი სტრიქონები", 19.10 — კინონარკვევი „ტყე იღვიძებს", 19.20 — „ბაკუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს" — ყაზბეგის რაიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები (გამომრეობით), 19.55 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „არჩევნების შესახებ დრამა", 20.40 — სატელევიზიო ფილმი „მდინარეების, ზღვებისა და ყინულეთის მიღმა", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მღერის ქეთო ჯაფარიძე", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ", დასასრული — ახალი ამბები.

□ 8 ა პ რ ი ლ ი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ჰაუპტმანი — ფილმი-სპექტაკლი „მზის ჩასვლის წინ" — საბჭოთა კავშირის მცირე აკადემიური თეატრის მსახიობთა მონაწილეობით, 13.15 — მხატვრული ფილმი „ემსახურობ საზღვარზე", 16.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 17.00 — კინონარკვევი „ჩვენი დრო", 17.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის ნახატი ფილმები, 18.55 — „სპორტული მიმოხილვა", 19.15 — „კანონი და კანონიერება", 19.35 — სატელევიზიო ფილმი „გრიბოედოვის საჩუქარი", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო პირველობა კოკაიში. საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკია (ტრანსლაცია მეუნეხენიდან), 21.30 — მიზანი — 200 მილიონი, მიზანი მისაღწევი, შესაძლებელი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა — „კომპოზიტორი — ნ. ჩარგეიშვილი", დასასრულ — ახალი ამბები.

□ 9 ა პ რ ი ლ ი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვემსახურები მამულს", 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ძმები კარამაზოვები" (I სერია), 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.20 — დოკუმენტური ფილმი — „რუსეთის სოფლის მეურნეობა", (ქართულ ენაზე), 17.30 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — ნახატი ფილმი „სასწაული გოგრა", 18.40 — „შეჯიბრებაში გამარჯვებულნი", 19.00 — „ცხრაკლიტული", 20.00 — ფერადი ტელევიზია — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. „დინამო" (ბიევი) — „ეიპნდჯოვენი" (კოლანდია) — (ტრანსლაცია ბიევიდან), 20.50 — რეკლამა, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ინ ქარცეცხლიან დღეთა მელოდიები", 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „სახლი რკინგზასთან", დასასრულ — ახალი ამბები.

□ 10 ა პ რ ი ლ ი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „გაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და ჩვენზე უკეთ" (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 11.25 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 12.